„RECYCLING" LTD შპს „რეციკლინგი"

Moscow ave 24a; Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 270 91 81

საქართველო, თბილისი; მოსკოვის გამზ. 24ა
საიდენტიფიკაციო კოდი 406060042

№ 01/12
12. 08. 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „რეციკლინგი"-ს დაგეგმილი აქვს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების და აღდგენის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი №24ა-ში მდებარე 11 597.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შპს „ჯამი"-ს (ს/კ 208194862) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.19.34.002/028 და ამავე მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ მოსკოვის გამზირი №24ა-ში მდებარე 8 460.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შპს „კაიზენი"-ს (ს/კ 206059815) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.19.34.002/034.

საწარმოს მიერ დაგეგმილია დაგეგმილია მწობრიდან გამოსული საბურავების, ელექტროკაბელების, ალუმინ-პოლიმერის მოსაპირკეთებელი ფილების (ჩამონაჭერების), ნამუშევარი ზეთის ფილტრების, წუნდებული/მწყობრიდანგამოსული საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობების (ტელევიზორი, კომპიუტერი), ალუმინის ქილების, ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან წარმოქმნილი ნარჩენების, მანქანების (ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის) ნამუშევარი ზეთების გადამუშავება (წინასწარი დამუშავება და აღდგენა).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის მე-16 პუნქტის თანახმად „სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, შესაბამისად ამ კოდექსის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს. ამასთანავე, ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო

№ 12708
"12" 08 2020
2/ С.

სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №2-682 ბრძანებით გამოცემული იქნა 2019 წლის 23 აპრილის №50 სკოპინგის დასკვნა.

" ქ. თბილისში, შპს ,,რეციკლინგის" ნარჩენების აღდგენის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება და აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №2-682 ბრძანების საფუძველზე წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს და 2019 წლის 23 აპრილის №50 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას

დანართი: 1. გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ;
2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტების ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;
3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;
4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,

ჰაქან იავუზ

შპს „რეციკლინგი"-ს დირექტორი